



გაზეთი გაემოდის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამბრაღიის

N5 (9149)

20 თებერვალი. 2015 წელი

ფასი 50 თეთრი

ეახგად გადახედეთ, ხა ეადხეზი დახჩა ამ შენობაში

### ვის აწყობს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

სასოფლო-სამეურნეო ბარათების  
დარიგება დანიყო

2

ტრამინტოლოგიის განვს  
აწათყრნი მუცვლოთვს



### ქანონს ვეჩვ მუ დავახლოვევ და ვეჩვ საქეუბოლო



2

საზრინათა და მონეზამახვილთა  
ვექროზა მრქელეზა

3

იზრიალონ მუხეზა...

ნაგალოთ ვანგალოთახს სქართველოში  
ვკროსგანვარგვობის მუხაზამიხი  
სიხხლოთ ვანეი აქვს



4



4

უსახლო  
სახლოვანი



7

ვესვალა სამყარო

"... ჩახეხეთ გზები ევან დახახევი"

8

6

სახელმწიფო 3. 0.

# სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება დაიწყო

ხორციელდება მცირემფონიანი ფერმერთა 2015 წლის საგზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი. ამ პროექტის ფარგლებში ბენეფიციარები ღებულობენ სუბსიდიას სასოფლო-სამეურნეო (ხენის) ბარათის ან "აგრობარათზე" დარიცხული ქულების სახით. უკვე რამდენიმე დღეა, ჩვენს მუნიციპალიტეტში დაიწყო ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის ე. წ. ხენა-თესვის ბარათის დარიგება. პროცესის საბოლოო დასრულებისთვის 5 დღე იყო განკუთვნილი. მაგრამ მოსახლეობას რომ პრობლემები არ შექმნოდა, ვადა გაზარდეს. პროგრამის მიმდინარეობის შესახებ გვესაუბრება სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიამ თენგიზ ცაგურაძე:

"ამ პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროდან ჩვენთან გადმოვიტანა 2914 ხენის ბარათი, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას შეუძლია ფართობების დახენა. ტელევიზიით ვაცნობთ მოსახლეობას, დროზე მივიდნენ. 16 თებერვალს დაიწყო პროცესი და 1-ლ მარტამდე უნდა დასრულდეს. ჩვენამდე ვერ მოდიან მოქალაქეები, თორემ ბარათების გაცემის პრობლემა არ გვაქვს, სისტემა ისე ავაწვევთ, რიგში დგომა არ უწევთ მოქალაქეებს. პრობლემა ის ქმნის, რომ ისინი ჩვენამდე ვერ მოდიან. მოგეხსენებათ, სოფლის მოსახლეობა ამ ბარათებს სოფლებში ღებულან, ჩვენ მხოლოდ ქალაქის მოსახლეობას გადავცემთ. სხვათა შორის, სოფლებზე გაცემული ბარათების რაოდენობას აღემატება ქალაქში გასაცემი ბარათების რიცხვი.

ვისაც რეგისტრირებული აქვს მიწის ნაკვეთი, ხენის ბარათს ყველა მიიღებს, ხშირია მოქალაქეთა პრეტენზიები, აი, მე საიში არ ჩამოვივსო. ჩვენ ადრეც ვაფრთხილებდით მოქალაქეებს, რომ მიწის რეგისტრაცია უნდა მოეხდინათ სავარო რეესტრში, მერე საბუთები მიეტანათ სოფლის მეურნეობის განყოფილებაში და მიიღებდნენ ამ ბარათს. მოგეხსენებათ, მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია 100 ლარამდე ჯდება, ეტყობა, ეს არის შემთავრებული ფაქტორი".

ხენა-თესვის ბარათს მიიღებს ყველა მოქალაქე, ვისაც აქვს 2500 მეტრზე მეტი მიწის ნაკვეთი. ბარათების დარიგების პროცესში თენგიზ ცაგურაძის სამსახურს დამხმარებას უწევენ კულტურის, ეკონომიკის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლები.

ამჯერად მუნიციპალიტეტის გამგებლის ქალაქის წარმომადგენლობაში დანიშნული პიროვნება მხოლოდ თენგიზ ცაგურაძეა. მისი თქმით, ამ დღეებში კონკურსი გამოცხადდება, 9 თანამშრომელი კონკურსის წესით შეირჩევა და დაინიშნება.



სამთხვეობა

# ტერმინოლოგიის განლაგება ახალი მუხატი

საერთაშორისო ტერმინოლოგიის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის თაობაზე, საერთაშორისო სტანდარტიზაციული ორგანიზაციის (ISO) სტანდარტების განხილვის ფარგლებში, მანანა სირბილაძემ გამოიტანა. საქართველოს ორგანიზაციის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს განესაზღვრა სამოქმედო ტერიტორიები. როგორც მანანა სირბილაძე აცხადებს: "აღნიშნული ცვლილება ტერმინის შეცვლის გარდა არაფერს გულისხმობს. თუ ადრე მიღებული იყო ტერმინი "თემი", ამჟამად იგი "ტერიტორიული ერთეული" გახდება. უცვლელი რჩება სამოქმედო ტერიტორიებიც და ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ სოფელთა ნუსხაც. სამომავლოდ რა არის ჩადებული ამას, ვერ გეტყვით, მაგრამ ამ ეტაპისთვის, მხოლოდ ეს არის ცვლილება."

რა თქმა უნდა, იგივე რჩება გამგებლისა და მსოფლიოს რაოდენობა და ვინაობა თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში, მაგრამ "თუ ფორმულად 500 ამომრეგულზე ერთი საჯარო მოხელე, გავითვალისწინოთ ტერიტორიული ერთეულებს, რომლებშიც ბევრი სოფელი შედის, იქნება დაუმართლ სპეციალისტი." - დასძინა მანანა სირბილაძე. თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ნაკლები მანაია, ამის შესაძლებლობა მიეცეთ. რაც შეეხება ქალაქის ტერიტორიულ ერთეულს, უკვე დამტკიცებულია, რომ იგი ცხრა სპეციალისტით იქნება დაკომპლექტებული.

მანანა სირბილაძე

# კანონს უხეც მე დაუაჩოვო და უხეც სახეობილი



მეტი წინადადება

ხმაური იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 თებერვლის ბიუროს სხდომაზე. ახა მელქაძის წარმომადგენლობით, გურამ ლეთოდიანის ადმინისტრაციულ საჩივარს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ საკრებულოს 17 თებერვლის სხდომაზე განსახილველად გატანაზე უარი უთხრა. გურამ ლეთოდიანი 2014 წლის 14 ივლისს მოსულ ხელისუფლებას წინა მოწვევის საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულების ბათილად ცნობას და არარად აღიარებას სთხოვდა. საქმე ეხება 2007 წლის 23 ივლისის № 58 განკარგულებას, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ათამ "სკოლაში დახურვის დაწესებულებათა გაერთიანება". გურამ ლეთოდიანი შესაბამისად ამ გაერთიანების გაუქმებასაც მოითხოვდა და ბაღის დაბრუნებას მუნიციპალიტეტის მარ-

ვეტილებს. მანანა სირბილაძემ მოხსენების გარეშე იმ დღეს სხდომაზე შეპირდაც გადავით განმარტება კომისიისა და ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლიანობაზე: "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად სამართლებრივი აქტი გამოცემისთანავე ითვლება არარად, თუ გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს, ან არაუფლებამოსილი პირის მიერ. 58-ე განკარგულება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, 2007 წელს მასში ნდელი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ არის მიღებული, უფლებამოსილი ორგანოსა და უფლებამოსილი პირის მიერ. რაც შეეხება მის ბათილად ცნობას, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან პირობითად დარღვეულია მისი მოქმედების წესი. ასეთი რამ 58-ე აქტის მომზადებისას არ არსებობდა. ამდენად, ეს ორი საფუძველი ბათილად ცნობის და არარად აღიარების არ არსებობს.

ამის შემდეგ ბატონი გურამი ითხოვდა გაერთიანების გაუქმებას და ქუთაისის მერიის 2007 წლის განკარგულებით მიღებული მაგალითი მოჰყავდა. საკითხის შესწავლისას მოვიძიე დოკუმენტები და აღმოჩნდა, რომ 2010 წლის 29 დეკემბერს ქუთაისში გაუქმდა ძველი განკარგულება და 74-ე განკარგულებით შექმნა ათამ "ქუთაისის ბაგაბაღების გაერთიანება" და დაამტკიცა შესაბამისად



წესდება. ბიუროს მიერ მიღებული განკარგულება კარგად აღიარდა და გათავისუფლებული იქნა კორდინაციის მიზნით უფლება მიეცათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეექმნათ ათამ-ები. აღნიშნული ნორმატიული საფუძველებიდან გამომდინარე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება ჰქონდა, დაეფუძნებინა არასამთავრობო ბიუროს მიერ და განესაზღვრა სტატუსი, რაც განხორციელდა კიდევ 2007 წლის 23 ივლისის 58-ე განკარგულებით. აქედან გამომდინარე, ახალ საკრებულოს სამართლებრივი საფუძველი არა აქვს, გააუქმოს 58-ე განკარგულება და შესაბამისად ბაღების გაერთიანება. ბიუროს სხდომაზე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ - ეს საკითხი ახალი არ არ-

ის, ხელისუფლებაში ჩვენ მოსვლამდე სასამართლო დავები წარმოებდა, სამივე - I-II და III ინსტანციებში ბატონმა გურამმა ეს დავები წააგო. ყველა ერთნაირად მიიჩნევს, რომ 2007 წლის 23 ივლისის კონკრეტული განკარგულება მიღებულია უფლებამოსილი ორგანოსა და პირის მიერ და შესაბამისად გაერთიანებაც სწორად არის დაფუძნებული. მე მეტი არაფერი შემიძლია, გავაკეთო. ბატონი გურამის მიმართ მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა, კანონს ვერც მე დავარდვევ და ვერც საკრებულო". ბიუროს სხდომაზე გურამ ლეთოდიანმა განაცხადა, რომ მანანა სირბილაძის მიმართ აცილება ჰქონდა შემოტანილი, რაზეც საკრებულოს ბიუროს გაოცებული დატოვა, რადგან საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, მსგავსი განცხადებით საკრებულოსთვის არავის მიუძღვრია.

# 2013-2014 წლების პროექტის პროექტები რომ აღარ განმეორდეს

მეტი წინადადება

18 თებერვლის ოთხშაბათის ტრადიციული თათბირი ძირითადად საგზაფხულო სამუშაოებზე მსჯელობას დაეთმო. მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას, 2015 წლის საგზაფხულო სამუშაოებს წინა წლებზე უკეთ მომზადებული შეხვდეს. ამისათვის ვალერიანე ფოცხვერია თვლის, რომ მობილიზებული უნდა იყვნენ სოფლის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებელმა სპეციალურად მოიწვია სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როსი მამუკა კვანტალიანი და შპს "შექანიზატორის" სამტრედიის სერვისცენტრის დირექტორი კოტე ნაცვლიშვილი. ვალერიანე ფოცხვერია: "წინა წლების გამოცდილება გვკარნახობს, რომ 2013-2014 წლებში ხენა-თესვის პროცესში დასრულებული იყო შეცდომები. ახალ ხელისუფლებას დიდი სურვილი გვაქვს, მსგავსი წელს აღარ განმეორდეს. ამ საქმეში ძალიან დიდი როლი ეკისრებათ სოფლის წარმომადგენლებს, რომ მათ მოსახლეობასთან ხშირი კონტაქტები ჰქონდეთ და არ გამოვარდით სულ მცირე ნიუანსიც კი. შარშან და შარშანწინ



მინიმუმად უნდა იქნას დაყვანილი". ვინაიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში არიან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები ოთხშაბათის ტრადიციული თათბირებს მოწვევის გარეშე არ ესწრებიან. "დღეს სპეციალური მოწვევით ვიმყოფებოდი გამგებლის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. მართალია, ჩვენ ორი წელია, ვმუშაობთ სამტრედიამ, ამ შემადგენლობას ასე ერთობლივად პირველად შეხვდი. სათქმელიც საერთო მქონდა. კერძოდ, ჩვენი

რიგებს საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს", - დასძინა მან. ოთხშაბათის ტრადიციულ თათბირზე ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა განცხადება გააკეთა. ნოე ივანიამ ამხანაგობა "სამტრედიის მექანიზაციის სერვისცენტრის" მუშაობის ხარისხის კონტროლი მოითხოვა. "სერვისცენტრი ზოგადად ვალდებულია, ყოველ ექვს თვეში ერთხელ მუნიციპალიტეტის გამგებლის შესაბამის სამსახურს და ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურს გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიწოდოს. განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ, მუშაობა რომ ეფექტური გახდეს, ბუნებრივია, მას კონტროლიც უნდა ახლდეს. წელს ზემოაღნიშნულ, ამხანაგობასთან ურთიერთობა პირველად გვაქვს. გვინდა, ეს თანამშრომლობა გაცილებით უკეთესი იყოს, ვიდრე უახლოეს წარსულში. ჩვენ შეხვედრით ამხანაგობის თავმჯდომარეს, მერაბ შენგელიას, რომელიც იგივე განსწავლას გამოხატავს".



სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფ-

ბეური ოჯახი დაგვრჩა სასოფლო-სამეურნეო ბარათის გარეშე. წელს მათი რიცხვი

თემა გაგზავნილი

“დალაგდნენ გამგეობაში?” – ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა მოქალაქემ ასეთი კითხვა დაგვისვა ისე, ზოგადი საუბრისას...

საკვლეფიკაციო მოთხოვნებში ძირითადი ცვლილება იმ საკითხს შეეხებოდა, თვითმმართველობაში ახალი ხელი-

რომ იყო, ეს სახელმწიფოს დანაშაულოა-თქო ვერ ვიტყვი, მაგრამ არც დიდი ბედნიერებაა...

აქედან გამომდინარე, გამგეობის საშტატო ნუსხაში დაშვებული ორი ახალი შტატი, გამგებლის თანამშრომლისა და გამგებლის მრჩეველისა გენდერული თანასწორობის საკითხებში, უმაღლესი განათლების მქონე საეკონომიკური უნივერსიტეტის დასაფუძვლებს...

როგორც მომდინარე სხდომა ამ საკითხზე საუბრისას “ნაციონალის” რეპლიკამ გამოაცხვია, ოპოზიციური ფრაქციის ლიდერმა ემზარ შუბლაძემ ვეფელი ამ მცდელობას ფუჭი უწოდა...

წინარად მიმდინარე სხდომა ამ საკითხზე საუბრისას “ნაციონალის” რეპლიკამ გამოაცხვია, ოპოზიციური ფრაქციის ლიდერმა ემზარ შუბლაძემ ვეფელი ამ მცდელობას ფუჭი უწოდა...

სთვის საკრალური ადგილი აღმოჩნდა. თუმცა, ზურაბ ზაქარიასემ გალიზიანებულეს შეახსენა, რომ ეს ფეფლზე საპატიო ადგილია სამტრედიამი მისი დატვირთვიდან გამომდინარე...

დასტურებლად არასამთავრობო ორგანიზაცია “სამართლიანი არჩევნების” წარმომადგენელი ნინო შარაშენიძე მოიხვედრა, რომელიც იმ კომისიის წევრია და სხდომისას დარბაზში იჯდა...

ჯახგად გადახედეთ, ხა ჯადიხები დახჩა ამ შუნობაში

სუფლებს მოხვლისთანავე არაერთი რომ გააოცა. ეს უმაღლესი განათლების ქონა-არქონის აუცილებლობაა...

გამოიწვია, რომ გადავედით ელექტრონულ სისტემაზე და გამგებელი, ფაქტობრივად, მხოლოდ განცხადებების კითხვას და წერას მოუწდება...

ლის მოკვეთილი კბილით – თქვენ დროსაც ასე არ იყო? და საერთოდ ვინ იცის “თქვენ დროს” შესწენება როდის დასრულდება საქართველოში...

ური ფაკულტეტის წითელი დიპლომიც ჰქონდა. “ოცნების”, ანუ მოქმედ წარმომადგენელს, 42 ქულა გამოცდილების გარეშე...

კომისიამ გააკეთა საკმაოდ განათლებული და კომპეტენტური პიროვნებაა. მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ხელისუფლების მხრიდან მართლა არ ყოფილა ბიძაშვილების დაპირისპირების მცდელობა...

თოვდა და თბილისს ებურა თაღი...

ლეჰან ზაბეჩავა

გახსოვს, ტაბახმელაგ, ბრძოლები გმირული და მკერდი მრავლის შენთვის განგმირული... დედებო, შეამკეთ მათი საფლავები, საქართველოსთვის რომ დადეს თავები.

გ. ლორთქიფანიძე

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკული დღეა 1921 წლის 25 თებერვალი. ამ დღეს ბოლშევიკურმა რუსეთმა დემოკრატიული საქართველოს ანექსია მოახდინა...

ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!” – უპატაკებდნენ მოსკოვს ვაიქართველები.

პატრიოტიზმის არნახული მაგალითები უჩვენეს ერს ქართველმა ახალგაზრდებმა, ახლად დაარსებული უნივერსიტეტის სტუდენტებმა, სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა იუნერებმა...

საფრანგეთში ემიგრაციაში გაიხიზნა დემოკრატიული საქართველოს მთავრობა. გაევიდა სამი წელი და ისევ რუსეთში ჩაახშო ქართველთა აჯანყება, დამოუკიდებლობის აღდგენას რომ ისახავდა მიზნად...

საბჭოთა კავშირმა შოვინისტური პოლიტიკის “წყალობით” მომდევნო წლებში მრავალჯერ დაიღვრა უმანო ქართველ მამულიშვილის სისხლი.



გვეწყო 1956 წლის 9 მარტი, 1989 წლის 9 აპრილი, სამაჩაბლო და აფხაზეთი, ბოლოს კი, 2008 წლის 8 აგვისტო. დღეს, როცა საქართველოს ორგანიზაციები ისე არიან გააქტიურებული, როგორც არასოდეს, რუსეთი ტრადიციას არ ღალატობს და ათასგვარი ხრიკებით სუვერენული საქართველოს დამცრობასა და მის შინაურ საქმეებში ჩარევას ცდილობს...

ისე გათავზედდა კრემლი, რომ სამოვავშირეო ხელშეკრულებაც კი გააფორმა თვითაღიარებული აფხაზეთის დე-ფაქტო ლიდერთან?!

მოვიდა 25 თებერვალი და თავს ისევ გვახსენებს 94 წლის წინ, 1921 წლის 25 თებერვალს თბილისთან მომხდარი ამბები, პირშეუკრავე ჭრილობად რომ დარჩება სამარადეამოდ თითოეულ ქართველში.

უკვდავია სისხლიან თებერვალში დაღუპულთა სისხლი, დაუვიწყარია მათი სახელები.

იურიალონ მუხეაბა...

ლეჰან ზაბეჩავა

მუნიციპალიტეტის პანთეონის, სასაფლაოების, ტერიტორიის გამწვანებისა და სანერგე მუენრეობის გაერთიანებამ საადრეოთა თადარიგი ადრიალანე დაიჭრა. როგორც გაერთიანების დირექტორმა, ბატონმა მერაბ დიდიემ “სამტრედიის მაცნე” განუცხვალა, დაწვებულია და საადრეოდ დასრულდება ეკა-ბარდისაგან ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების განუფთავება, ამჟამად მიმდ-

ნარეობს წერეთლის ქუჩაზე, ხიდლარის სასაფლაოს ტერიტორიის გაწმენდა, შემდეგი იქნება მაცნეობის სასაფლაო და ა. შ.

– მოსახლეობისათვის ცნობილია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ბატონ კობა ძიძიგურის ინიციატივით, ქალაქში გამწვანების აქცია მოეწყო, რაც უდავოდ მისასალმებელია. ბატონი მერაბის განმარტებით, დათბება თუ არა, კვლავ გაგრძელდება გამწვანებითი სამუშაოები ქალაქში. უკვე მოძიებულია 50 ძირი ქართული

მუხა, სანერგე მუენრეობიდან შეირჩევა დეკორატიული მცენარეები, რომლებიც ბაღებსა და სკვერებს, ქალაქის ქუჩებს დაამშვენებენ.

– მიხდა ვთხოვო მოსახლეობას, თუ აქვთ უიშვიათესი ჯიშის მცენარეები. ოჯახებში გადმოგვცენ ჩვენ, რათა ერთობლივად მივიღოთ მონაწილეობა ქალაქის კეთილმოწყობასა და გამწვანებაში. – დასძინს მერაბ დიდიემ.

გაერთიანების თავკაცისგან შევიტყვეეთ ისიც, რომ დათბება თუ არა, რესპუბლიკის, წერეთლისა და თამარ მეფის ქუჩებზე დაიწვენება ჭადრების გადამკვება, სამუშე მერქანი კი სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას გადაეცემა. შეკითხვაზე, თუ ხდება ქარსაფარი

ზოლების აღდგენა-განახლება, მერაბ დიდიემ გვახსენებს: მართალია, ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განახლება ჩვენი გაერთიანების კომპეტენციაში არაა, მაგრამ, როგორც სამტრედიელმა უნდა აღვნიშნო, რომ ქარსაფარი ზოლების დიდი უმრავლესობა ამორტიზებულია. ხეები ფაუტია, ანუ გამხმარია, ხდება მათი ბუნებრივი წაქცევა, არ წარმოებს მათი განახლება ახალი ნერგებით, არადა, ქარსაფარი ზოლი მნიშვნელოვნად იცავს მოსახლეობას.

ასე რომ, განაფხულის მობრძანებასთან ერთად სამუშაო თავსაყრულად აქვს პანთეონის სასაფლაოების, ტერიტორიის



გამწვანებისა და სანერგე მუენრეობის გაერთიანების თანამშრომლებს, მათი გარჯა კი დადებითად აისახება ქალაქის იერსახეზე.

## ნატალია კვანტალიანს საქართველოში ვკრძახანარჩვების მუხაბამისი სისხლის პანჯი აქვს

რამდენიმე დღის წინ, თბილისში, ნატალია კვანტალიანის სახელობის ქართულ-პოლანდიური კლინიკა გაიხსნა. პრეზენტაციამზე მოსული ადამიანები გაკვირვებულან, აღტაცებულან ვერ ფარაგდენ. პოლანდიის საელჩოს წარმომადგენლებმა კი ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ მსგავსი მასშტაბისა და ხარისხის კლინიკის საქართველოში გახსნა მნიშვნელოვანი მოვლენაა ორივე ქვეყნის უახლეს ისტორიაში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალური ბანკი, ახლახან, ISO სერტიფიკატის მფლობელი გახდა. წელიწადში უკვე 18 000-მდე დონორის ანაზღაურება უკვე 40 ლარია. თუმცა, მანამდე იყო რთული და საინტერესო ოთხი წელიწადი. პრაქტიკულად, გაპარტახებულ შენობაში 2 მილიონიანი ინვესტიციის ჩადება კი ნატალია კვანტალიანს იმ საკვალაოდ მდგომარეობამ გადააწყვეტინა, რომელსაც 2009 წელს, დედის ავადმყოფობისას, ჯერ კიდევ სახელმწიფო სისხლის ბანკში გადააწყვედა.

ნატალია კვანტალიანმა სისხლის ბანკის შენობა 2010 წელს, დია აუქციონით, იმ პირობით შეიძინა, რომ 2 მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა განეხორციელებინა. ასე რომ, ეს შენობა სახელმწიფოს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად არ გადმოუყვია.

აუქციონის პირობების თანახმად, სისხლის ბანკის სამი კორპუსიდან მხოლოდ ერთი კორპუსის გადმოცემა მოხერხდა. ერთადერთი, რაც ეკონომიკის სამინისტროს სთხოვა, ის იყო, რომ ინვესტიციის მოსაზიდად საჭირო დრო სამიდან ექვს თვემდე გაეზარდათ. შედეგად, გაცხადებით მეტი ინვესტიციის მოზიდვა ითვალისწინებდა, კერძოდ, ორის ნაცვლად სამი მილიონ ექვსასი ათასი ლარი. დღეისათვის კი სისხლის ბანკში 8 მილიონ ლარამდე ინვესტიცია ჩაიდო.

სისხლის ბანკი აღიჭურვა ევროსტანდარტების დონის უახლესი აპარატურითა და ტექნოლოგიებით. მათ შორის მსოფლიო ლიდერი კომპანიების "ჯონ-

სონის", "როშეს", "ებოტის" წარმოებული კომპიუტერიზებული სადიგნოსტიკო ანალიზატორებით. გაიხსნა ფილიალები, დასაქმდა ხუთასამდე ადამიანი, ეტაბორივად გაიზარდა სახელგანთქნილი და დონორთა ანაზღაურება. სხვათა შორის, ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკი ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი სავაიბიტო ბარათია. როდესაც შვეიცარიის წითელი ჯვრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თბილისში, ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციით აღნიშნული სისხლის ბანკის მუშაობას გაეცნენ. ორგანიზაცია, რომელმაც ბალტიის ქვეყნებში ანალიზური პროექტის განხორციელებისთვის გრანტის სახით ორას ჩვიდმეტი მილიონი ევრო დახარჯა, გაოცდა შედეგით, რომელსაც თბილისში 4 წელიწადში მიაღწიეს. მათ გაცხადებენ, რომ არაა პქონ-



და, როცა გაიგეს, რომ ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ბანკში, წელიწადში, 18 000 დონორი დაფიქსირდა. ეს საქართველოს რეალობაში სარეკორდო მაჩვენებელია.

დღეისათვის კლინიკაში ჩადებული 8 მილიონიანი ინვესტიციიდან თანხის ნაწილი თანამედროვე ლაბორატორიის მოწყობას მოხმარდა. ამჯერად, საქართვე-

ლოს ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს, გამოველევა ისრაელში ან ევროპის რომელიმე ქვეყნის წამყვანი კლინიკის ნაცვლად აქვე ჩაიტაროს. ამას გარდა, სისხლის ბანკის შენობაში განთავსდა ჰემატოლოგიის ინსტიტუტი. ერთ სართულზე სისხლის ბანკი, ერთზე – ჰემატოლოგიის ინსტიტუტი. სულ მალე ამავე შენობაში სამშობაიროც გაიხსნება. ასე აეწყო: ძლიერი სისხლის ბანკი ძლიერ ლაბორატორიას შექმნის, ძლიერი ლაბორატორია ძლიერ საავადმყოფოს, ძლიერი საავადმყოფო ძლიერ ქირურგიულ და სამშობაირო ბლოკს.

რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის პრეზენტაცია მოხდა. თავდაპირველად პროექტი პოლანდიურ მხარესთან ერთად "აი-სი" ჯგუფს უნდა განეხორციელებინა. ხოლო კლინიკა სისხლის ბანკის შენობაში ნაქირავებ ფართში განთავსებულიყო. კლინიკაში თანხის ნახევარი, გრანტის სახით, პოლანდიურ მხარეს უნდა ჩაედო, ნახევარი – ქართულს. პროექტის განხორციელება დაიწყო, თუმცა, ქართულმა კომპანიამ ვალდებულების შესრულება ვერ შეძლო. კრახისთვის განწირულ პროექტს გაჭირვების ტალღისად ნატალია კვანტალიანი მოველინა, რომელმაც ქართული მხარისგან ვალდებულებაც შეისყიდა და წილიც, თანამშრომლობა კი მას შემდეგ შედგა, რაც პოლანდიელებმა დაინახეს, რომ ნულიდან დაწყებულ საქმეს ქართველმა ბიზნესმენებმა საკმაოდ სოლიდურ თანხებთან ერთად დიდი ენერჯია, შრომა და ბევრი უძილო ღამე შეაღწია. შედეგად, მსოფლიო ათეულში შემავალი პოლანდიური ლაბორატორიის ორი დამფუძნებელი, დღეს ამ კლინიკაში 15-15 %-ით მოწოდებები არიან. მათ ლაბორატორიაში კი ამჯერად 10 000 ტესტი ტარდება.

აღსანიშნავია, რომ სისხლის ბანკის მომსახურებით ოთხმოცამდე საავადმყოფო სარგებლობს და 24 საათიანი გრაფიკით მუშაობს.

ნატალია კვანტალიანი სისხლის ბანკის და ქართულ-პოლანდიური კლ-



### ინიკის დამფუძნებელი:

"ყოველთვის ჯანსაღი კონკურენციის მომხრე ვარ, პრობლემები და დაბროკოლებები, როგორც წესი, არასოდეს მაშინებს. ამ საქმეს ხელი ერთადერთი მიზნით მოგივიდე, საქართველოს, ჩემს ქვეყანას ჰქონოდა ევროსტანდარტების შესაბამისი სისხლის ბანკი. ექვს ადარ ეფიქრება იმაზე, ოპერაციის დროს საჭირო დონორის სისხლი პრობლემას ხომ არ შეუქმნის. დღეს უკვე საერთაშორისო ISO სერტიფიკატს ვფლობთ. თუმცა მანამდე იყო რთული და საინტერესო 4 წელიწადი. დონორის სისხლზე მოთხოვნა მაღალია, რუსურსი კი დიდი არ არის. ამიტომ, რაც მეტი სისხლის ბანკი იქნება, უკეთესია. ყოფილი სპორტსმენი ვარ, ამიტომ დასახულ მიზანს ყოველთვის ვაღწევ. ერთადერთი, რაც მინდა,

მაღალი დონის სპეციალისტები, უმაღლესი დონის აპარატურა და ევროსტანდარტების ხარისხის კლინიკა.

მინდა, ჩემს საყვარელ სამტრედელს კიდევ ერთხელ მოვეფერო და დავპარდე, რომ უახლოეს პერიოდში დაგეგმილი მაქვს, რაიონში გავხსნა სისხლის ბანკის რეგიონალური ცენტრი, რომელიც ალტურვილი იქნება თანამედროვე სამედიცინო აპარატურითა და კომპეტენტური, კვალიფიციური სპეციალისტებით, კლინიკა კი მთელ დასავლეთ საქართველოს მოემსახურება. იგი უამრავი ადამიანისთვის მასშველი რგოლის ფუნქციას შეასრულებს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მომსახურებით, ხარისხით და ფასით მომხმარებელი კმაყოფილი დარჩება".

ილია შოხვა



ამას წინათ, "ჯეოპოსიტივლის" მოზრდილი პოლიტიკის მიმდებარე ტერიტორიაზე ერთი ახალგაზრდის მობილური ტელეფონით საუბარს შევესწარი, – ბიჭო, ძეგლი რომ დგას, ვიდაც კაცის, გულზე რომ ხელი უდევს, ე. იქ გელოდებიო. მოგვიანებით ფეისბუქ-სივრცეში ქუთაისელი ახალგაზრდები იკვლევდნენ, ვისი შეიძლება ყოფილიყო ის უწარწერო ბიუსტი, რომელიც სამტრედიის ცენტრში მდებარეობს. "ალბათ, კარდიოლოგია სამტრედიისში", ფიქრობდა "პოსტის" ავტორი. ძალიან ბევრი არათუ ჩვენი თანატოლები, არამედ, სამტრედიისში სხვა ქალაქიდან სტუმრად მისული ადამიანი გაიკვირებებს, რატომ არა აქვს წარწერა იმ ადამიანის ბიუსტს, რომელიც სამედიცინო დაწესებულების წინ მდებარეობს? რამდენიმე წლის წინ მართლაც გაჩნდა ბიუსტზე ოქრო-

ოსფერი ასოები, მაგრამ წვიმამ თუ ქარმა ისინი ჩამოიშალა. ამჯერად უწარწერო ბიუსტი გვიდგას, კვარცხლბუკს ხშირად სარჩევნო სტენდის მისიას ვაკისრებთ და პოლიტიკოსთა სახეებით ვჭრელებთ, არჩევნებამოვილილ ქალაქში ამ პლაკატების ჩამოხვევა პოლიტიკოსებს ავიწყლებათ. რამდენიმე თვის წინ თეთრ ხალათში გამოწყობილი სამედიცინო დარგის მუშაკები თავადვე ასუფთავებდნენ პლაკატებით აჭრულეულ კვარცხლბუკს. არადა ბედის ირ-

ნახია დაამთავრა. ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა ჟნევის უნივერსიტეტში გააგრძელა.

1913 წელს, სანტ-პეტერბურგში, პირველად ისტორიაში, წარმატებით გაკურა აორტის აღმავალი რგალის ჭრილობა – შეძლო შიგ გულში ტყვიით დაჭრილი, აორტაგაგლეჯილი ადამიანის გადარჩენა. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული სამედიცინო გამოცემა "ტექსას ჰართ ინსტიტუტ ჯორნალი" სტატიაში სათაურით "იუსტინე ჯანელიძე და დაზიანებული აღმავალი აორ-


ტის პირველი წარმატებული ოპერაცია", ქართველ მეცნიერს აღიარებს მეოცე საუკუნის გულის ქირურგიის პიონერად და ყოველივე ამას დოკუმენტურად აფიქსირებს. იუსტინე ჯანელიძე იყო საბჭოთა კავშირში გადაუღებელი მედიცინის, როგორც ცალკე სამედიცინო-პრაქტიკული დარგის დამაარსებელი. ევროპაში ერთ-ერთ უდიდეს, ლენინგრადის გადაუღებელი ქირურგიის ინსტიტუტს მისი დამაარსებლის – ი. ჯანელიძის სახელი ეწოდა. ის ავტორია ფუნდამენტური სამედიცინო შრომებისა. არჩეული იყო პეტროგრადის სამედიცინო ინსტი-

ტუტში პროფესორად, იყო საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მას ერთხმად აღიარებენ ომის შემდგომი ქირურგიის მეთაურად, მიიწვევენ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს ქირურგად. ი. ჯანელიძე გარდაიცვალა 1950 წელს, გამოასვენეს სამხედრო-სახლგაო სამედიცინო აკადემიის შენობიდან. 18 გრადუსამდე ყინვაში, 8 კილომეტრის მანძილზე ცხედარს ზღვა ხალხი მიაცილებდა ფეხით. დაკრძალეს მეცნიერების რუსი კორიფეების – მენდელეევისა და პავლოვის გვერდით.

**84 წლის  
ქარბაჯონი  
მაცაჩეხერის  
ლიან რაგებში  
ჩაოჯახდა**

დაახლოებით ერთი კვირის წინ, თბილისი-ბათუმის ჩქაროსნულ მატარებელს ქალბატონი ლიანრაგებში ჩაუჯარდა. იგი 84 წლის ცილა ჯანაპია აღმოჩნდა. მიცვალებული ნათესავმა ამოიცილა.



ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიციისა და რაიონის ხელისუფლების წარმომადგენლები. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის რეგიონის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, სისხლის სამართლის საქმე 115 მუხლითაა აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ სამტრედიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბოლო დროს განხორციელდა რეინიგების გადასასვლელებზე მომხდარი საგზაო შემთხვევები.

# ვის აწყობს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

6064 ნა60ტაჰ3010

**2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებიდან 2 წელი და 5 თვეა გასული. მომდევნო მესამედიანად ორ წელიწადში ნაკლები დრო რჩება. თუმცა, ქვეყანაში უკვე აქტიურად ახსენებენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებს. თუმცა აქტიურება ხდება როგორც პოლიტიკურ, ასევე, აპოლიტიკურ წრეებში. ამომრჩევლის უდიდესი ნაწილი საერთო აზრზე, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით დაინტერესებას ზოგი ხელისუფლებას, ზოგიც კი ოპოზიციას აბრალებს. აღნიშნული თემის ირგვლივ სასაუბროდ “სამტრედიის მაცნე” სამტრედიის მოქმედი პოლიტიკური პარტიების ლიდერებს დაუკავშირდა, ასევე დაინტერესდა რამდენიმე რიგითი ამომრჩევლის პოზიციით.**

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით პრობლემების მოგვარების დანქარებას სერიოზულად არ უყურებს “რესპუბლიკელი” იმედა გოგავა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ვერც ფონს და ვერც აუცილებლობას ხედავს: “პოლიტიკური სიტუაცია, ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად სტაბილურია. რა თქმა უნდა, პრობლემები არის, მაგრამ, მჯერა, ხელისუფლება თავს ღირსეულად გაართმევს. არ გეთანხმებით, რომ ვადამდელი არჩევნების თემა აქტუალურია. აქტუალური საქმის კეთება, დანარჩენი პოლიტიკური საკულისციის თემად მიმჩნია. ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებს საერთო არა აქვს სამართლიანობის აღდგენასთან. საქართველოს მოქალაქეებმა 2012 წელს პარლამენტი 4 წლის ვადით აირჩიეს. მან ამომრჩევლის ნება უნდა შეასრულოს, თუმცა, ვადამდელი არჩევნებით რაიმე პრობლემის მოგვარება დანქარდეს, სწორად არ მიმჩნია. 2016 წლისთვის არ გამოვრცხვავ, ქვეყანაში სულ სხვა პოლიტიკური ლანდშაფტი იყოს. ვგულისხმობ იმას, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია პლუს “თავისუფალი დემოკრატები” და “ნაციონალური მოძრაობა” ის პოლიტიკური ძალებია, რომლებსაც შეუძლიათ, მინიმუმ, ორ ბლოკად ჩამოყალიბდნენ. ასე რომ, მივიღეთ საკმაოდ მსხვილი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებსაც შეუძლიათ ხელისუფლებას საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწიონ. არ არის გამორიცხული, რამდენად შეძლებს 2016 წელს კოალიცია ერთობის შენარჩუნებას. ამ უკანასკნელის შესანარჩუნებლად კოალიციას მძიმე და მნიშვნელოვანი გარდაქმნების გატარება სჭირდება. ამისთვის კი კოალიცია უნდა განხდეს დემოკრატიული, კოალიციაში ყველა პარტიის წევრისთვის სამართლიანობის განცდა უნდა იყოს სრული პოლიტიკური თანხვედრა ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. ესენია: საგარეო პოლიტიკა, თვითმმართველობა, ლიბერალური დემოკრატია.

ვადამდელი არჩევნები რომ ჩატარდეს, ამაზე პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. როგორ ფიქრობთ, კოალიციიდან შესული დეპუტატები ამას ხელს აუწყებენ? რაც შეეხება ოპოზიციას, ძირითადად “ნაციონალები” – დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ გადაწყვეტილების მომხრეები გახდნენ. ასეთ შემთხვევაში მათგან, მინიმუმ, ნახევარზე მეტი პარლამენტში საკუთარ თავს ვერ იხილავს. ამდენად, მე პირადად ამის პრაქტიკულად განხორციელება არ მიმჩნია და ვერც ამის ფონს ვხედავ.”


ხელისუფლებამ ძალაუფლება რომ გაიხანგრძლივოს, ამაში ერთ-ერთ გამოსავალს ოპოზიციური პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებს მიიჩნევს. თუმცა, ემზარ შუბლაძე თვლის, რომ თეორიულად დასაშვებია პრაქტიკულად განხორციელება შეუძლებელია: “რაც შეეხება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებს ეს, პირველ რიგში, აწყობს ხელისუფლებას. იმიტომ, რომ 2 წელიწადი მეტია ხელისუფლებამ არიან და ვერაფრის კეთება შეძლეს. ვგულისხმობ იმ დაპირებებს, რასაც ისინი მოსახლეობაში გასცემდნენ. უფრო მეტიც, ქვეყანა როგორც ეკონომიკური კუთხით, ასევე პოლიტიკურად უკან მიდის. თუ ადრე ცოლები მიდიოდნენ თურქეთ-

ში, ახლა ქმრებიც დაემატენ, ან პირიქით. მთელი ოჯახია საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად წასული. საკვალაოა ლარის კურსის მდგომარეობა. ვინაიდან ეს პირდაპირ კავშირშია ეკონომიკურ განვითარებასთან. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება ფიქრობს, 2014 წელს ადრე უფრო უარესი რეიტინგი დაუდგება, საბოლოო ჯამში კი ამ მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. სიტუაცია რომ გაუმჯობესდეს, ამას სჭირდება სხვა პოლიტიკური ნება, არ უნდა წარსულში ქეკვა. დღევანდელმა ხელისუფლებამ იცის, რომ 2016 წელს არჩევნების შემთხვევაში სერიოზულად დამარცხდებიან. ამდენად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არის ერთ-ერთი გამოსავალი, მაგრამ ეს არის თეორიულად დასაშვებია, ხოლო პრაქტიკულად შეუძლებელი. აქვე დავამატებ, რომ “ნაციონალური მოძრაობა” ყოველთვის მზად არის, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ჩვენ მოსახლეობასთან კავშირი არ შეგვიწყვეტია.”

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას თეორიულად ეწინააღმდეგება ემზარ შუბლაძის თანაპარტიელი და ერთ ნიკოლეიშვილი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას აქვს მოტივი, დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები: “თუკი ამ იდეას, რასაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჰქვია, კულუარულად მაინც განიხილავს ხელისუფლება, აშკარად პრობლემებს შეხედავენ როგორც საკუთარ გუნდში, ისე, ზოგადად. ქვეყანაში. ვგულისხმობ ძალიან ბევრ შეპირებას, რაც მათ გულუხვად გასცეს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ და რითაც მოვიდნენ ხელისუფლებაში.

ჩემი სუბიექტური აზრია, თუკი ხელისუფლებამ კონსტიტუციურ ვადაში ჩაატარა საპარლამენტო არჩევნები, 2016 წლის პარლამენტი მრავალფეროვანი იქნება და მმართველი კოალიცია, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმრავლესობით მართლაც ვერ მოგვეკვლინება. ხელისუფლებას უდავოდ აქვს მოტივი, დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და შერჩენილი ავტორიტეტი გამოიყენოს უმრავლესობის მოსაპოვებლად. თუმცა, რატომ მიიღებს ვეცლა ხელისუფლება იქითგან,


რომ საპარლამენტო ოპოზიცია და ზოგადად, ოპოზიცია, რაც შეიძლება, დისკრედიტირებული იყოს, ჩემთვის ამოუცნობია. ჩემი აზრით, ქართველები უნდა მიეჩიონ ჩვენს ქვეყანაში კონსტიტუციურ ვადაში ჩატარდეს ნებისმიერი არჩევნები.”



ას. იმიტომ, რომ მათი რეიტინგი უფრო დაბლა მიდის. დარწმუნებით შემოდილა, ვთქვა, ვადამდელი არჩევნები არ უნდა აწყობდეს ხელისუფლებას. მართალია, ისინი იმდენ ხმას ვერ მიიღებენ, რაც 2012 წლის 1-ლ ოქტომბერს მიიღეს, თუმცა არც იმის საშიშროება აქვთ, სხვა ძალამ გაიმარჯვოს 2016-ში.”

ოპოზიციის აზრს არ იზიარებს ნუგზარ ჯაბაბია. უახლოეს წარსულში პარტია “ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს” რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ხელისუფლება ვადამდელი არჩევნებისაკენ არ უნდა მიიღებოდეს. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იმედიანია, როცა ამბობს, რომ 2015 წელი გარდამტეხი და მნიშვნელოვანი წელი იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების კუთხით.

“კონსტიტუციით განსაზღვრულ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პოლიტიკური პარტიის რეიტინგი რამდენად აიწვეს ან დაიწვეს, ამის მიხედვით თუ არჩევნები ვატარებთ, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. – “სამტრედიის მაცნესთან” კომენტარში ასეთ შეფასებას აკეთებს 2008-2012 წლების მოწვევის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი ჯონი ნადირაძე და იქვე დასძენს, – მაგრამ, რადგანაც კონსტიტუციამ განსაზღვრულია, რომ საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს გარკვეულ ვადებში. ვეცლამ კეთილი ინებოს, დაემორჩილოს კანონს და მოითმინოს ვადის მოსვლამდე. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ხელოვნურად ატეხილი ხმაური. მე, როგორც რიგითი მოქალაქე, ვიტყვი, უშუ-



## საქველმოქმედო კონსტიტუციური არჩევნების პრინციპების დონორული ინიციატივა

თემურ წიკლაური, ვახტანგ ტატიშვილი, ნუგზარ კვამალი, ბესო კალანდაძე, ბიძინა მახარაძე, ნუგზარ ერგემიძე, პაატა თედიაშვილი, მკაე ქაჯაია, ზურა კობეზაძე და ზურაბ ჩინჩალაძე 3 მარტს, დედის დღეს სამტრედიელს განსაკუთრებულად სასიამოვნო კონცერტის გამართვას სთავაზობენ. ამის შესახებ ცნობილი სულ რამდენიმე დღის წინ გახდა, როცა ანსამბლების “იუმორინას”, “ივერიას”, “ვია 75-ის” პროდუქციის თამაზ ქაჯაია სამტრედიის ჩამოვიდა და მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

თამაზ ქაჯაია ასოციაცია “ჯადოსნური ხმების” დირექტორია. მას და მის მეგობრებს გააჩნიათ კეთილი მიზანი, საქართველოს ყველა კუთხეში გამართონ საქველმოქმედო კონცერტები და შემოსული თანხით განსაცდელში მყოფ ხელოვანებს დახმარება გაუწიონ. მომდერალ ეთერ კაკულაის მხარდასაჭერად ზემო იმერეთში მათ უკვე გამართეს ღონისძიებები, ამჯერად დასავლეთ საქართველოს ბარში ყველა თაობის მამულებელს მათთვის საყვარელ ესტრადის მსახიობებს შეახვედრებენ.

თამაზ ქაჯაია, ასოციაცია “ჯადოსნური ხმების” პრეზიდენტი: “თითქმის მთელი საქართველო შემოვიარეთ. არ შემიძლია, განსაკუთრებულად არ გამოვიყო იმერეთის გულგან მასპინძლობა. ყველგან სიყვარულითა და პატივისცემით გვეგებებიან. იცხება საკონცერტო დარბაზები მონატრებული სიმღერების მოსასმენად. 3 მარტს სამტრედიის ჩამოსვლას ვგეგმავთ. ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში, გვირდებით, არნახულ სადამოს მოგიწვობთ. სამტრედიელთა დამოკიდებულება უკვე შევიგრძენი. არ ვაჭარბებ, უზომოდ დიდი ყურადღებითა და გულისხმიერებით შეგვხვდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, აშკარად დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით თითოეული მათგანისაგან.”

3 მარტს ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით კონცერტის ბილეთები წინასწარ გაიყიდება, შემოსული თანხის ნაწილი მომდერალ ეთერ კაკულაის დახმარების ფონდში გადაირიცხება.

# ბიბლიოთეკა მომავალ თაობაში პატრიოტულ სულივითებას აღვიძებს

## ნათია ნახვლეტიშვილი

ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკის კულტურული მისია აკისრია, ეს ადგილი ინტელექტუალთა თავშესაფარის კერად დიდი ხანია იქცა. მართლაც, სამართლიანად შეიძლება თავეს გამოვლავლო ბიბლიოთეკის მისიონერული მოადგილე, რომელიც განათლებულმა ადამიანმა კრავიშვილმა, ბიბლიოთეკის მონაწილე რომ მომიჯა, უდიდესი საპროგრამო მონაწილე თქვენთანო. ამჯერად ტრადიციული სტრუქტურის და მეთოდების თავშესაფარის მთავარი მისია წმინდა და ვითარებაში სხვების დროსადმი მიძღვნილი ღონისძიება იყო.

უკვე მერამდნე შეხვედრას, მთავარი მომსახურებელი, „სამტრედიის მაგნე“ პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბუნიანი. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მისი მოხსენება აკადემიური იყო:

„საქართველოს მორწმუნეებულ მეფედგოვალთა შორის დავით აღმაშენებელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. 16 წლისა გამეფდა, დაიწყო აღმობრუნებლად მშენებელი დავითისა. დავითი ისტორიაში შევიდა, როგორც უდიდესი რეფორმატორი, ბრძენი, პოლიტიკოსი, რომელმაც ქვეყანა გააერთიანა. არ მაქვს პრეტენზია, ამომწურავად ვისაუბროთ ამ ღმერთაცის მორწმუნეობის შესახებ“. – აღნიშნა წამყვანმა და ისაუბრა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მნიშვნელობაზე, ამ კრების განხილვით, უდიდესი სასულიერო პირები ეკლესიას ჩამოაშორეს და მათ ნაცვლად ღირსეულნი დაადგინეს. მეფის მიერ მუდმივად მხედრობის, რეგულარული ჯარის შექმნა დიდგორის ველზე „ძღვევა საკვირველით“ დასრულდა. წამყვანმა დანახვებით ისიც აღნიშნა, რომ ვაიქაროველებმა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში დიდგორის მემორიალი გაძარცვეს. აღნიშნა ისიც, რომ საზოგადოებაში მომწიფდა აზრი, 2025 წლისათვის დავითის გარდაცვალებიდან 900 წლისთავის აღსანიშნავად, მეფის 11 მეტრიანი ძეგლი დაიდგას, რომლის გვირგვინიც იქნება ოქრო ცურვილი. თავისი გამოსვლის ბოლოს მან დიდი მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, მის თანამშრომლებს და განსაკუთრებულად სამკითხველო დარბაზის მთავარ ბიბლიოთეკარ რუსეო კახიანს და საინფორმაციო-ანალიტიკური განყოფილების ხელმძღვანელს, ინახელა ლევაშვილს.

დავითის სახელოვანი მორწმუნეობის ეტაპები გაიხსენეს მოსწავლეებმა, მხატვარ-კარიკატურისტმა, ასევე ჩვენმა უმცროსმა კოლეგამ შოთა პაპავამ, ქეთევან აბრამიშვილმა, ნინო აბრამიამ, ბესო კახიანმა, თამუნა სანიციემ, მარიამ აბრამიშვილმა, ელენე ჩუბინიძემ, შოთა კანდელაკმა, მარიამ ჩხაიძემ, ქრისტინე ივანიძემ და ნიკოლოზ კურდელიამ.

უკვე სტუდენტია, მაგრამ ბიბლიოთეკასთან მეგობრობის დასტურად ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა ბექა ფოცხვერიამ, რომელიც დავითისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსით წარსდგა პუბლიკის წინაშე, რის გამოც ბიბლიოთეკის დირექტორის, ლამარა დუნდუას განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურა.

დარბაზში შეკრებილ აუდიტორიას ზვიად გამსახურდიას მიერ 1990 წელს ქუთაისში, ლადო მესხიშვილის თეატრში წაითხილი ლექსიდან „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“ მოკლე ამონარიდები გააკვირვა.

ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, მზია ჩხვიაძემ წაითხა დავით აღმაშენებლის ანდერძი.

შესანიშნავად გააღამავეს ღონისძიება მოსწავლეებით მერი ტკეციერიას მოსწავლეებმა. ანსამბლ „ჩანგი“ მერე თაობის წევრებმა ანი და გიორგი ჯღამაძეებმა.

წმინდა დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის მოძღვარმა დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე) ბრძანა, ამ ადამიანებს რომ ვუსმენ, ილიას უკვდავი სტრიქონები მახსენდებთ: ჩემო კარგო ქვეყანა, რაზედ მოვიწყენიაო. მისი თქმით, დავით აღმაშენებლის სახელის ხსენებაც ერთგვარი პედაგოგიკა და მოძღვრებაა. „წმინდანი არის ის პიროვნება, რომელიც თავისი ძალისხმევით, დახარჯულობით, ქრისტეობით შემაერთებოდა. ღვთისადმი ერთგული სიყვარულითა და თავდადებათ, ამ დაცემულ ბუნებას სძლევს ღვთაებრივი მადლით, ეკლესიური ცხოვრებით და თავის პიროვნებას განამშვენებს და მოამზადებს ისე, როგორც ეს პავლე მოციქულის ერთ-ერთ ეპისტოლეში წერია: „თქვენ ხართ ტაძარი სულისა წმინდისა, თქვა ღმერთმა. დავემკვიდრო და მოვიქცევი თქვენს შორის.“ ანუ ამ ადამიანმა, თავისი სულისა და სხეულის ერთობლიობა, პიროვნული მთლიანობა სრულიად მიუძღვნა ღმერთს“.

პროფესორმა ამირან ნიკოლეიშვილმა ასევე სამადლობელი სიტყვები უთხრა ღონისძიების ორგანიზატორებს. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა ასევე: „სახელმწიფო რეალობაში სარდალი იყო სულა. აი ამ, სულასაგან მოყოლებული, მსოფლიოს სამხედრო წრობა საომარ

მოქმედებების დროს იყო სტანდარტული. ეს ლამის 1000 წელს გაგრძელდა. გენოისი უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ აი ეს წყობა დაერღვინა და დაეძვინდებინა ახალი წრობა, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღი არ გამოიყენეს, მთ



ელი მსოფლიოს შეიარაღებული ძალები საომარი მოქმედებების ამ წესით სარგებლობდნენ. მსოფლიოს სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ხაზგასმით წერია, რომ ეს ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის მეთოდია.“

საინტერესო ინიციატივით გამოვიდა პოეტი თემურ ჯულაყიძე: სურვილი მაქვს, სრულიად საქართველოს მასშტაბით გაფორმდეს: დავითის „გალობანი სინანულიანი“ ყოველი ჩინოსანის წესდება იქცეს. არ უნდა იყოსო ქვეყნის ხელმძღვანელობა, თუ სისხლივით უღვრის არ გაქვს გათავისებული „გალობანი სინანულიანი“.

საგუთარი ლექსებით წარსდგინა აუდიტორიის წინაშე პოეტები თემურ ჯულაყიძე და თამარ რაზმაძე.

ვერც ერთი გაკვეთილი ვერ მისცემს ისეთ ცოდნას ახალგაზრდებს, როგორც დღეს, ამ აკადემიური ღონისძიებ

საგუთარი ლექსებით წარსდგინა აუდიტორიის წინაშე პოეტები თემურ ჯულაყიძე და თამარ რაზმაძე.

ვერც ერთი გაკვეთილი ვერ მისცემს ისეთ ცოდნას ახალგაზრდებს, როგორც დღეს, ამ აკადემიური ღონისძიებ

ით მიიღეს“. ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი იურისტმა ლალი თადუმაძემ.



„დავით აღმაშენებელი იმიტომ იყო ფენომენალური მოვლენა, რომ სახელმწიფოებრიობა შექმნა. ინსტრუმენტები, რომლებიც დავით აღმაშენებელმა შექმნა, მერე შემოვიდა ევროპაში. მსტორები ანუ „ყურმიდებულები“ დღეს რამდენად ზნეობრივ მორალურ ასპექტში გადაწყვეტილი რამ არის, ღმერთმა უწყის, მაგრამ თურმე სახელმწიფოსათვის ეს აუცილებელია. დავითი სხვა მეფეებთან განსხვავებით იმიტომ გადასაყურებული მოვლენა, რომ ქართული სახელმწიფო შექმნა. ძალდატანება დასჭირდა ამას და მორწმუნე მეფემ კარგად იცოდა, რომ ბაღვაშების გვარის ამოწყვეტა სახელმწიფოსათვის აუცილებელი იყო. იმიტომაც გაამართლა ისტორიამ იგი. იმიტომ, რომ ბაღვაშები სახელმწიფოებრიობას ეწინააღმდეგებოდნენ და არა პიროვნულად დავითს. 400 წლის მერე უწოდა ერმა მას აღმაშენებელი. არ ვიცი დავით აღმაშენებლის კაცური გემოვნება, მაგრამ ათრაქან შარა

დნის მე მისი მეორე ცოლი რამდენად ლამაზი იქნებოდა მარიამთან შედარებით, ეს ზუმრობით ვამბობ, სხვა საკითხია, მაგრამ პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა ამ ქორწინებით მეფემ“.

ღონისძიებას მონაწილეობა მისაუბრა აღმაშენებლის ღვაწლზე და აღნიშნა:

„ყველა მნიშვნელოვან თარიღს ემსაუბრება ბიბლიოთეკა. ჩემი თანამდებობით უხეშად ვსარგებლობ და მინდა, ყველა სოფლის ბიბლიოთეკა ასე გამოცოცხლდეს. დღეს, როცა ტექნიკური ცივილიზაცია, კომპიუტერი ჯიბრში უდგ

ას წიგნს, ასეთი ახალგაზრდების, პატარების შემოკრება გვირავს საქმეა. მადლობას გიხდით ყველას. ქართველ მეფეთა ბრწყინვალე დინასტიაში გვირგვინია დავით აღმაშენებელი, მეფე, ხელოვანი სახელმწიფოს მართვაში, ბრძოლაში, სულიერებაში, უსურვეს საქართველოს, როგორც დავითის დროს იყო ტერიტორიულად, სულიერად, სახელმწიფოებრივად ძლიერი, ასევე ყოფილიყოს მომავალში. ტოლერანტი იყო დავით აღმაშენებელიც, მაგრამ არა სახელმწიფოსთვის სახიანოდ, დღეს ბევრ ბინძურ რაღაცას გვახვევენ თავზე და ამას ტოლერანტობას ეძახიან, ქართველს არ ეკადრება და მოდით, ნუ ვიკადრებთ“.

ღონისძიების ბოლოს ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ კიდევ ერთხელ მოუხადა მადლობა ყველა მონაწილეს, სტუმარს და აღნიშნა, რომ წინათან მომავალი თაობის ურთიერთობას ალტერნატივა არა აქვს.

# სახელმწიფო 3. 0.

ასე ჰქვია პროექტს, რომლის წარმომადგენლებიც მალე სამტრედიისში შემოვლენ. მასში, ძირითადად, ახალგაზრდები არიან დაკავებულნი, რომელთა მიზანია, საკუთარ (მშობლიურ) ქალაქებში სასაქონლო ცვლილებები განახორციელონ.

სამტრედიისში პროექტის წარმომადგენლები მეღაურის საჯარო სკოლის ყოფილი მოსწავლეები ბექა ფოცხვერია და ზურაბ დვალაძეები არიან.

წლების წინ მეღაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა, ქალბატონმა ლიკა პატარიძემ ბექა ფოცხვერია საკუთარი ლექსებით რედაქციაში მოიყვანა. მალე ბექა და მისი ლექსები მკითხველმა გაიცნო. შემდეგ, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განმარტოებით, საათობრივ მქალაქში ცოდნასმოწვევით ახალგაზრდა, სა

მკითხველო დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა, ქალბატონმა რუსუდან კახიანმა შეაძინა და საბიბლიოთეკო ღონისძიებებში ჩართვა შესთავაზა ახალგაზრდას, რაზედაც იგი სიამოვნებით დათანხმდა.

კრეატიული აზროვნებით, ლამაზი ლექსებით ბექამ საზოგადოების ყურადღება დამსახურებულად მიიპყრო, შეგვიძირდა, სტუდენტობის შემდეგაც არ დაგვიწყვებო და სულ ახლახან, ისევ ქალბატონი რუსუდანის მოწვევით, მიიღო მონაწილეობა ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაში, რომელიც წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს მიეძღვნა.

ბექა ფოცხვერია ამჯერად ქუთაისის აკადემიის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია (სამართლის სპეციალობა). პოუზიან შეყვარებული ახალგაზრდა სწორედ პოუზიის სიყვარულმა დაუკავშირა და დაუახლოვა მველთაძემ ქუთაისში მცხოვრებ ქართული ჯგერაიანი სიტყვისა და ლექსის

ტრედალ თანატოლებს.

ცოტა ხნის წინ ბექამ უნივერსიტეტის ეგვიპტის გამართულ ახალგაზრდა პოეტთა კონკურსში მერე ადგილი დაიკავა. სამტრედიელი ახალგაზრდა პოეტი გაერთიანდა „ქვიშის პოეტების“ წევრია, რომელსაც ქუთაისში და არა მარტო ქუთაისში კარგად ცნობილი ახალგაზრდა პოეტი პაპუნა რევიშვილი უდგას სათავეში.

– გაერთიანდა საღამოებს მართავს დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, ივრებს რაიონებში მცხოვრებ პოუზიის მოყვარულთ, რაც ხელს უწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას, ერთმანეთთან დაახლოებას და მათ წახალისებას, ჩართულობას აგრეთვე, პროექტში „სახელმწიფო 3. 0.“ პროექტში გაერთიანებული ახალგაზრდების მიზანია (უმტკიცნეულო პროცესებით), მოახდინონ საკუთარ რაიონებში სასაქონლო ცვლილებების განხორციელება. – გვეუბნება ბექა.

მისგან შევიტყვევოთ ისიც, რომ გვეგვას სამტრედიისში ლიტერატურული კლუბის – სალონის დაფუძნებას და ა. შ.

მოკრძალებულ წარმატებას ვულოცავთ ჩვენ ბექას, ვიმედოვნებთ მომავალშიც არაერთხელ მოგვინწყნა წერა მის მიღწევებზე.

**ლევან გაბუნიანი**

თბაკაპროფილი

გეგმვანი სარეკორდი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამისა და კავშირ "ბერლიუსის" თანამშრომლობით, სამტრედიის მეთხუთმეტე საჯარო სკოლაში ამუშავდა თეატრალური კლუბი, სადაც მეთხუთმეტე საჯარო სკოლის აღსაზრდელებისა და სენაკის პირველი საჯარო სკოლის თანატოლების საერთო ინტერესის გაერთიანების მიზნით, რეჟისორ გეგა ქურციკიძის მიერ ილია ჯობლაშვილის პიესაზე დაიდგა სპექტაკლი სახელწოდებით "შეცვალე სამყარო".

თავისუფალ დროს ერთად ატარებდნენ ორივე სკოლის აღსაზრდელები. ყოველდღიურად ხვდებოდნენ ერთმანეთს რეპეტიციებზე. საერთო ინტერესებიც გამოიძებნა და მეგობრობისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. ეს საერთო ინტერესი ამჯერად სპექტაკლში გააერთიანეს. პიესაც მათ ასაწყე მორგებული შეიქმნა. თავიდან ჩართვის სურვილი ნაკლებად ჰქონდათ მეთხუთმეტე სკოლაში, თუმცა, უკვე ეს ბარიერიც დაძლეულია. მუშაობა პიესაზე, რომლის დევიზია, მოექცევი მოვასის ისე, როგორც ვინდა მოგექცენ უნ, დასრულდა.

